პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 229 (4739)

1972 წ. 19 ნოემბერი, კვირა.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან



# ჩემპიონი ხალიჩას გამოეთხოვა

ჩემპიონთა ჩემპიონი ტოვებს ხალიჩას. იგი ალარასოდეს გამოვა ხალიჩაზე, რომლის დიდოსტატადაც წლების მანძილზე ითვლებოდა. თავისუფალ ჭიდაობაში სსრ კავშირის ცხრაგზის, მსოფლიოს შვიდგზის, ოლიმპიური თამაშებისა და ევროპის სამგზის ჩემპიონი ალექსანდრე მედვედი სამუდამოდ ეთხოვება აქტიურ სპორტს.

1958 წელს ჯარისკაცი მედვედი პირველად შეხვდა მწვრთნელ პ. გრიგორიევს. მას შემდეგ ამ ორი შესანიშნავი ადამიანის — სპორტსმენისა და პედაგოგის ცხოვრება მჭიდროდ დაუკავშირდა ერთმანეთს. მერე კი, როცა მედვედმა საქვეყნოდ გაითქვა სახელი, მას მხარში ამოუდგა კიდევ ერთი შესანიშნავი აღმზრდელი და პედაგოგი ბ. რიბალკო.

1961 წელს მედვედმა პირველად მოიპოვა სსრ კავშირის ჩემპიონის წოდება მძიმე წონაში. მას შემდეგ ნიჭიერმა ათლეტმა მარცხი არ იცის. მინსკელი სპორტსმენი უმაღლესი საჭიდაო ხელოვნების თავისებურ ეტალონად იქცა და წლების მანძილზე ხიბლავდა გულშემატკივრებს რკინის ნებისყოფითა და სიმტკიცით.

მედვედმა თავის არცთუ ხანმოკლე სპორტულ კარიერაში ყველაფერი გამოსცადა. და რა გასაკვირია, რომ მოჭიდავეს დაუფასდა ტიტანური შრომა. იგი რამდენიმე ორდენითაა დაჯილდოებული, მათ შორის საბჭოთა ქვეყანაში ყველაზე საპატიო ჯილდოთი — ლენინის ორდენით. იგი სპორტის დამსახურებული ოსტატია და ბელორუსიის სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე, მინსკისა და მახაჩყალის საპატიო მოქალაქე.

სახელოვანი სპორტსმენის პატივსაცემად ბელორუსიის ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა 1970 წელს მოაწყვეს საერთაშორისო ტურნირი, რომელიც უკვე ტრადიციად გადაიქცა. წლევანდელ ასპარეზობაში, რომელმაც გუშინწინ აიღო სტარტი, მონაწილეობს ათლეტთა სარეკორდო რაოდენობა: მედვედის სახელობის პრიზისთვის იბრძვის ბულგარეთის, გდრ-ის, ირანის, მონღოლეთის, პოლონეთის, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიისა და სსრ კავშირის ასამდე ათლეტი.

ჩატარდა პირველი შერკინებები. 90 კგ-მდე წონით კატეგორიაში თბილისელმა ოსტატმა შ. პაპაშვილმა დაამარცხა სახელოვანი ათლეტის, მიუნხენის ოლიმპიადის ჩემპიონის, კრასნოიარსკელი ივანე იარიგინის ძმა ალექსანდრე. 82 კგ-მდე წონით კატეგორიაში წარმატებით აიღო სტარტი პაპაშვილის თანაქალაქელმა რომან მარსაგიშვილმა: მან ქულებით დაამარცხა რუმინელი იონ დუმიტრუ.

ასპარეზობა დღეს დამთავრდება.

• • •

სურათზე: ა. მედვედი.

# ფინალის საგზურებისთვის

ცნობილი გახდა წყალბურთში სსრ კავშირის თასის გათამაშების ოთხივე ნახევარფინალისტი. ესენი არიან „ტორპედოს", უნივერსიტეტის, სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბისა (სამივე — მოსკოვი) და ალმა-ათის „დინამოს" გუნდები.

ალმაათელებმა შინ ითამაშეს მინსკის „ბურევესტნიკთან" და მეტოქე დაამარცხეს ანგარიშით 9:5. მოსკოველი მეზღვაურები გუშინწინ ასტრახანის „სპარტაკს" შეხვდნენ და იოლად გაიმარჯვეს — 13:3.

ფინალის საგზურებისთვის ითამაშებენ სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბი და ალმა-ათის „დინამო", „ტორპედო" და უნივერსიტეტი.

## [illegible]-72

● ნიუ იორკი, 17 ნოემბერი. დეკემბრის დამლევსა და იანვრის დამდეგს ამერიკის ქალაქების კოლორადო-სპრინგსისა და ბლუმინგტონის სტადიონებზე განზრახულია ჰოკეისტთა საერთაშორისო ტურნირის გამართვა ამერიკის შეერთებული შტატების, სსრ კავშირის, ჩეხოსლოვაკიისა და კანადის გუნდების მონაწილეობით. ამერიკის ნაკრების მწვრთნელმა მ. ვილიამსონმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მისი გუნდი შტატ მინესოტის სტუდენტთა კოლექტივების ბაზაზე დაკომპლექტდება.

## [illegible]-72

**ჩვენი გაზეთი [illegible] [illegible] იყო... $19^{45}$**

◆ პარიზი, 18 ნოემბერი. საფრანგეთში დიდ ინტერესს იწვევს მიუნხენის ოლიმპიადის ჩემპიონის — სსრ კავშირის ფრენბურთელ ქალთა ნაკრების საჩვენებელი გამოსვლები. პარიზის „კუბერტენის" სტადიონზე საბჭოთა სპორტსმენებმა ანგარიშით 3:0 (15:4, 15:5, 15:8) ბრატისლავის „სლავიას" სძლიეს.

◆ პრაღა, 18 ნოემბერი. სტუდენტური გუნდების ტურნირში წარმატებით აილეს სტარტი სსრ კავშირის ხელბურთელმა ვაჟებმა: მათ ანგარიშით 25:23 (11:11) დაამარცხეს ჩეხოსლოვაკიის ნაკრები.

◆ რომი, 18 ნოემბერი. კორტინა დ'ამპეცოს ქალაქის ხელისუფლებმა იტალიის ოლიმპიურ კომიტეტს აცნობეს, რომ მზად არიან ამ ალპური კურორტის კანდიდატურა 1976 წლის ზამთრის ოლიმპიადის მასპინძლად წამოაყენონ. ეს განაცხადა ქალაქის მერმა რ. მენარდიმ. ალბათ გახსოვთ, კორტინა დ'ამპეცოში 1956 წლის თეთრი ოლიმპიადა ჩატარდა.

◆ კარაჩი, 18 ნოემბერი. ბალახის ჰოკეის საერთაშორისო ფედერაციამ გადაწყვიტა მსოფლიოს თასის III გათამაშება 1975 წელს მოაწყოს პაკისტანში. როგორც ცნობილია, მეორე ამგვარი ტურნირი გაისად ჰოლანდიაში გაიმართება.

## ცნობები უცხოეთიდან

# „დელტის" ახალი ფრთები

იუგოსლავიის ამასწინანდელი მსოფლიო პირველობის დროს პოლონეთის პლანერების წარმატებაში დიდი დამსახურება მიუძღვის „უმოტორო თვითმფრინავების ვერფის" — ბელსკო-ბიალის ქარხანა „დელტის" კოლექტივს.

ამ ქარხნის ოსტატებს მიმდინარე ხუთწლედში განზრახული აქვთ პლანერების წარმოების მთლიანი მოდერნიზება. აიგება მანქანების ასაწყობი ახალი მძლავრი კორპუსი, რომელიც წელიწადში სამას პლანერს გამოუშვებს. საქვეყნოდ სახელგანთქმული პლანერების „ფოკისა" და „კობრის" შემქმნელი, ინჟინერი ვ. ოკარმუსი, რომელიც ქარხნის კონსტრუქტორთა ბიუროს ხელმძღვანელობს, ამჟამად ახალი ორადგილიანი პლანერის მოდელზე მუშაობს. „დელტის" სიახლე იქნება მოტოპლანერიც, რომელსაც დასავლეთ გერმანიის ერთ-ერთ ფირმასთან ერთად ამუშავებენ.

არსებობის 25 წლის მანძილზე ქარხანამ 40 სხვადასხვა ტიპის 2500 პლანერი გამოუშვა. მათგან მესამედი სხვა ქვეყნების დაკვეთებითაა აგებული.

ვარშავა.

# ბიჭები ფრენას სწავლობენ

საპოროელ ბიჭებში სპორტის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სახეობა ტრამპლინიდან ხტომაა. ეს გატაცება დაიწყო ზამთრის ბოლო ოლიმპიური თამაშების შემდეგ, როცა იაპონელმა მხტომელებმა ამ ქალაქის 70-მეტრიან ტრამპლინზე ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს და სამივე მედალი დაისაკუთრეს.

ამას წინათ 15 მხტომელმა ვეტერანმა საპოროში „მფრინავ მოთხილამურეთა" საბავშვო კლუბი ჩამოაყალიბა. ცხრიდან თორმეტ წლამდე ასაკის ასზე მეტი მოსწავლე მოუთმენლად ელის თოვლს და იმ დღეს, როცა თხილამურებზე შედგება. ჯერჯერობით კი ტარდება მეცადინეობა გამბედაობის, ფრენის დროს ტანის სწორად დაჭერის უნარის გამოსამუშავებლად. სამმეტრიანი ტრამპლინის „მაგიდიდან" ბავშვები თამამად ხტებიან საგანგებო ლეიბებზე. ზოგი შინაც ვარჯიშობს — ლეიბებსა და ბალიშებზე.

მწვრთნელებს იმედი აქვთ, რომ ამ ჯიუტი ბიჭებიდან ბევრი ოლიმპიური ოქროს მაძიებელი იქნება.

ტოკიო.

## საკლესი მოგვითხრობს

# შვიდივე შეხვედრაში — ზავი

ბაქო, 17 ნოემბერი. დღეს აქ სტარტი აიღო სსრ კავშირის ვაჟთა მე-40 საჭადრაკო ჩემპიონატმა. I ტურში დამთავრებული შვიდივე პარტია ზავით აღინიშნა. ყაიმზე შეთანხმდნენ ვ. სავონი (ხარკოვი) — დ. ბრონშტეინი (მოსკოვი), ვ. ზილბერშტეინი (ორსკი) — ვ. ვასიუკოვი, ი. ბალაშოვი (ორივე — მოსკოვი) — ს. ფურმანი (ლენინგრადი), ი. რაზუვაევი — ლ. შამკოვიჩი (ორივე — მოსკოვი), მ. მუხინი (ალმა-ათა) — ვ. ტუკმაკოვი (ოდესა), მ. ტალი (რიგა) — გ. კუზმინი (ვოროშილოვგრადი) და კ. გრიგორიანი (ერევანი) — ა. ლეინი (მოსკოვი).

გადაიდო პარტიები: ჯინჯიხაშვილი — ქიდკოვი, ალბურტი — კაპენგუტი, ბუფელდი — ხოლმოვი, ზაგიროვი — რაშკოვსკი.



ალმა-ათის მახლობლად, 1700 მეტრ სიმაღლეზე, მთავრდება მაღალმთიანი ხაციგურაოს მოწყობა. აქ თითქმის მთელი წლის მანძილზე იქნება შესაძლებელი წვრთნა და შეჯიბრებების გამართვა. ერთდროულად 12 ათასი მაყურებელი ნახავს მოციგურავეთა, ჰოკეისტთა, ფიგურული ციგურაობის ოსტატთა გამოსვლებს. ახალი სპორტული კომპლექსი უპასუხებს ყველა მოთხოვნას, რაც დღეს აუცილებელია უმაღლესი რანგის ასპარეზობათა ჩატარებისთვის.

მ. პოპოვის ფოტო (საკლესი).

# დიდი ტურნირები...

## ... სან-ანტონიოში

ორიოდე დღეში სან-ანტონიოში (აშშ) სტარტს აიღებს ვაჟთა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი. სათამაშოდ მიწვეულია ამერიკისა და ევროპის რამდენიმე გამოჩენილი დიდოსტატი. თანხმობა განაცხადეს დიდოსტატებმა ბ. ლარსენმა (დანია), ლ. პორტიშმა (უნგრეთი), ვ. ჰორტმა (ჩეხოსლოვაკია), ს. გლიგორიჩმა (იუგოსლავია), 19 წლის ე. მეკინგმა (ბრაზილია) და სხვ.

მასპინძლებმა სსრ კავშირიდან მიიწვიეს მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ტ. პეტროსიანი, დიდოსტატები პ. კერესი და ა. კარპოვი, რომლებიც უკვე გაფრინდნენ სან-ანტონიოში.

## ... პალმა დე მალიორკაში

ესპანეთის ამ აგარაკის მესვეურებმა ტრადიციად აქციეს ვაჟთა საერთაშორისო ტურნირების გამართვა. ახლაც, წლის მიწურულს, პალმა დე მალიორკაში დიდოსტატებსა და ოსტატებს ელიან.

ესპანეთში სათამაშოდ გაემგზავრნენ საბჭოთა დიდოსტატები ვ. კორჩნოი, ლ. პოლუგაევსკი და ი. ავერბახი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ეს კაცი გურამ მინაშვილი გახლავთ

გურამი ჩვიდმეტი წლისა იყო, როცა თბილისის „დინამოში" მიიწვიეს. სათქმელად თითქოს არაფერია, მაგრამ აბა წარმოიდგინეთ, რას ნიშნავდა გამოუცდელი ჭაბუკისთვის სახელგანთქმული „დინამოს" სახელით თამაში, იმ გუნდის სახელით გამოსვლა, სადაც მაშინ თამაშობდნენ ოთარ ქორქია, ნოდარ ჯორჯიკია, ვაჟა ჟღენტი, ალექსანდრე კილაძე, ლევან ინწკირველი...

„ჩემი იდეალი იყო და არის ნოდარ ჯორჯიკია — საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი უძლიერესი კალათბურთელი. უაღრესად ტექნიკური და სწრაფი, იგი მთელს გუნდს აღანთებდა და აღაფრთოვანებდა ცეცხლოვანი თამაშით. მე გუნდში მისვლისთანავე ვიგრძენი ჩემი უფროსი ამხანაგებისა და შესანიშნავი მწვრთნელის გიორგი ავალიშვილის სითბო. რაც შემეძლო, თავს არ ვზოგავდი, ვვარჯიშობდი, ვცდილობდი გამემართლებინა დიდი ნდობა და თბილისის „დინამოს" წევრის სახელი არ შემერცხვინა".

1957 წელს 21 წლის გურამი სსრ კავშირის ნაკრებში მიიწვიეს. გუნდი ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადებოდა, რომელიც სოფიაში უნდა ჩატარებულიყო.

„მაშინ ნაკრებში უკანა ხაზის ბრწყინვალე მოთამაშეები იყვნენ: პეტკიავიჩუსი, ვალდმანისი, ვლასოვი, ოზეროვი, მუჟნიექსი. მცველებს წარსულში სახელგანთქმული კალათბურთელები ლისოვი და ლაგუნავიჩუსი გვავარჯიშებდნენ. სოფიაში მაინცდამაინც ბევრი არ მითამაშია, მწვრთნელები დიდად არ მენდობოდნენ. რით დამამახსოვრდა ეს ჩემპიონატი? რასაკვირველია, იმით, რომ პირველად მივიღე კონტინენტის ჩემპიონის ოქროს მედალი, და კიდევ იმით, რომ ბულგარული სამზარეულოს ცდუნებას ვერ გავუძელი და წონაში თითქმის ათი კილოგრამი მოვიმატე".

ამ ჩემპიონატის დამთავრებისთანავე მოსკოვში სტუდენტთა III მეგობრული თამაშები გაიხსნა. საბჭოთა ნაკრებმა, რომელიც ახალგაზრდა კალათბურთელებით იყო დაკომპლექტებული, ამ ტურნირში საპატიო II ადგილი დაიკავა უნგრეთის გუნდის შემდეგ. მთელი ტურნირის მანძილზე ბრწყინვალედ თამაშობდა გურამ მინაშვილი. მოსკოვის პრესა ქება-დიდებას ასხამდა ქართველ კალათბურთელს.

„თავი გამოიჩინა გურამ მინაშვილმა. ახალგაზრდული ჟინითა და ცეცხლით იგი მაგალითს აძლევდა უფროს ამხანაგებს, რისი წყალობითაც მთელი ჩვენი გუნდი თამამად, დამაჯერებლად თამაშობდა", — წერდა გაზეთი „სოვეტსკი სპორტი".

**1958** წლის გაზაფხულზე იტალია „ძველი სამყაროს" უძლიერესი გუნდების მასპინძელი იყო: ბოლონიაში გათამაშდა დედამიწის ზურგზე ყველაზე მძიმე წონის — 600-კილოგრამიანი თასი. თავად თასი ქალაქის ერთ-ერთ მუზეუმში ინახებოდა, გამარჯვებულ გუნდს კი მისი ზუსტი, ოღონდ პატარა ასლი უნდა მიეღო. მაირანოს თასის გათამაშებამ, ასე ერქვა პრიზს იტალიის კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტის პატივსაცემად, რომელიც, სხვათა შორის, ამ თასის გათამაშების თაოსანი იყო, საკმაოდ ძლიერ კომპანიას მოუყარა თავი. სარბიელზე გამოვიდა კონტინენტის თითქმის ყველა უძლიერესი გუნდი: უნგრეთის, იტალიის, ბულგარეთის, ჰოლანდიის, სსრ კავშირის კოლექტივები. გაჩაღდა უშეღავათო, დაძაბული, საინტერესო ბრძოლა. სსრ კავშირის ნაკრები პირველივე მატჩებიდან ძალიან ძლიერად, შეთანხმებულად თამაშობდა და დიდი შთაბეჭდილება დატოვა როგორც სპეციალისტებზე, ისე მაყურებლებზე. მაგრამ ერთი კალათბურთელის თამაშმა ნამდვილი ფურორი მოახდინა. თუმცა, აჯობებს სიტყვა მივცეთ საერთაშორისო კატეგორიის არბიტრს ვახტანგ ჯაფარიძეს, რომელიც იმ ტურნირზე მსაჯად იყო მიწვეული.

„როგორ თამაშობდა გურამი? ბრწყინვალედ! განსაცვიფრებლად! ასე არასდროს უთამაშია. საბჭოთა ნაკრების გამარჯვებაში გურამს უდიდესი დამსახურება მიუძღვის. იგი უზადო იყო დაცვაში და მოუგერიებელი — თავდასხმაში. მინაშვილს საბჭოთა გუნდში უმთავრესი როლი ჰქონდა დაკისრებული: მას დაავალეს მეურვეობა გაეწია მეტოქის უძლიერესი მოთამაშეებისთვის და გურამი ყველა მატჩში სჯობდა თავის ოპონენტებს. თავად განსაჯეთ: ბულგარეთის ნაკრებთან შეხვედრაში მინაშვილმა 17 ქულა შესძინა თავის კოლექტივს, მისმა მეტოქემ, პანოვმა კი... ერთი ქულა. იტალიის ნაკრებთან შეხვედრაში გურამს 8 ქულა ჰქონდა, ხოლო „სკუადრა აძურას" კაპიტანს ალეზინის — არც ერთი. უნგრეთის ნაკრებთან ფინალურ მატჩში მინაშვილმა 12 ქულა აიღო, ბანხედმა კი 7.

იტალიის ფედერაციამ ტურნირის უძლიერესი მოთამაშის დასასახელებლად სპეციალური ჟიური მოიწვია იუგოსლავიის, შვეიცარიის, თურქეთის, საბერძნეთის, იტალიის წარმომადგენელთა მონაწილეობით. ასპარეზობის საუკეთესო კალათბურთელად ერთხმად აღიარეს გურამ მინაშვილი, რომელსაც სპეციალური ჯილდო გადაეცა.

კიდევ ერთი საინტერესო ეპიზოდი: ტურნირის ყველა მატჩს ესწრებოდა ერთი მაღალი, ათლეტური აღნაგობის ზანგი უილიამ ჯონსი. ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩემბერლენის შემდეგ მეორე კალათბურთელად აღიარებული ჯონსი იმ დროს ბოლონიის უნივერსიტეტში სწავლობდა და, რასაკვირველია, დაესწრებოდა ევროპის უძლიერესი გუნდების თამაშს. როცა ჟიურის წარმომადგენელმა გურამს ჯილდო გადასცა, მე ზანგი კალათბურთელისკენ გავიხედე. ჩვენი მზერა ერთმანეთს შეხვდა. ჯონსმა გამიღიმა, გურამისკენ გაიხედა და მოწონების ნიშნად ცერა თითი მაღლა ასწია".

**1959** წელი. სსრ კავშირის ნაკრები ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრა. ეს იყო საბჭოთა სპორტული დელეგაციის პირველი ვიზიტი ამერიკის მიწაზე, იმ ქვეყანაში, რომელმაც მსოფლიოს კალათბურთი აჩუქა. ჩემი აზრით, კალათბურთელისთვის ამერიკელი მაყურებლის თვალწინ თამაში იგივეა, რაც მომღერლისთვის ლა სკალას სახელგანთქმულ საოპერო თეატრში გამოსვლა, ან ბალერინისთვის დიდი თეატრის სცენაზე ცეკვა.

რით გააოცებ ამერიკელ მაყურებელს? განა შესაძლებელია გააკვირვო ხალხი, რომელსაც უნახავს რასელის, ბეილორის, უესტის, კოუსის, ლუკასის, გუდრიჩის, ჩემბერლენის, ჰაზარდის, ჰავლიჩეკის თამაში?

გურამ მინაშვილმა არა მარტო გააოცა ეს კალათბურთის გურმანები, მან აღაფრთოვანა ამერიკელი მაყურებელი ბრწყინვალე, ჭეშმარიტად შთაგონებული თამაშით. სპეციალისტები ხოტბას ასხამდნენ გურამს, გაზეთები ეპითეტებს არ იშურებდნენ მინაშვილის საქებრად. გაგაცნობთ რამდენიმე ამონაწერს:

„ნიუ იორკ ტაიმსი": „მინაშვილის თამაშმა გაგვაოცა სიმძლავრით, ფილიგრანული ტექნიკით"; „კანზას-სიტი მონიტორი": „მინაშვილმა უმაღლესი კლასის კალათბურთი გვიჩვენა"; „როკი მოუნტინ ნიუსი": „გურამ მინაშვილი ბრწყინვალე მცველია, რომელსაც გამოჩენილი კალათბურთელისთვის საჭირო ყველა თვისება ამკობს".

სსრ კავშირის ნაკრები გუნდის თამაშმა ბრწყინვალე შთაბეჭდილება მოახდინა, თუმცა საერთო ანგარიშით — 4:2 — ამერიკელები წინ იყვნენ. ნიუ იორკის პროფესიონალთა გუნდის „ნიკერ ბაკერსის" მწვრთნელმა უოლტერ ბარელომმა ჟურნალისტებს განუცხადა: სიხარულით ავიყვანდი გუნდში მინაშვილს, რადგან სწორედ ასეთი ტემპიანი და ტექნიკური მოთამაშე მჭირდებაო.

„ვღელავდი თუ არა ამერიკაში გამგზავრების წინ? ყოველი გამოსვლა უცხოეთის სარბიელზე განსაკუთრებულ მოვალეობას გვაკისრებს, ამერიკის შეერთებულ შტატებში — კალათბურთის სამშობლოში გამგზავრება კი ჩვენთვის ორმაგად საპასუხისმგებლო იყო. საბჭოთა დელეგაციას სტუმართმოყვრულად, დიდი ყურადღებით ექცეოდნენ. გამოგვიყვეს საგანგებო თვითმფრინავი, რომელიც ამერიკაში მოგზაურობის დროს მხოლოდ ჩვენ გვემსახურებოდა. სხვა რა შემიძლია ვთქვა? მე, როგორც კალათბურთელს, ამ თამაშებმა ბევრი რამ მასწავლა. ამერიკას კალათბურთში უმდიდრესი ტრადიციები აქვს. კალათბურთი იქ ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სახეობაა. გამაოცა გუნდების სიმრავლემ. მათი რაოდენობა ათასობით იზომება. აი, საიდან იბადებიან ის ბრწყინვალე კალათბურთელები! ძალიან დიდი ყურადღება ექცევა ბავშვებთან მუშაობას. კარგადაა განვითარებული და უაღრესად პოპულარულია მინი-კალათბურთი. ვნახე პროფესიონალთა თამაშიც, რამაც ჩემზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა. ტრიბუნიდან რომ უყურებ, მათი თამაში ძალიან მარტივი გეჩვენება, მაგრამ, როგორც ჩანს, სწორედ ამ სიმარტივეში ვლინდება მაღალი კლასი. არავითარი ტრიუკები, არავითარი ეფექტური ილეთები. თამაშობენ უაღრესად რაციონალურად. მათი მთავარი იარაღია სროლა საშუალო და შორი მანძილებიდან, აგრეთვე, სწრაფი გარღვევა. ამაში პროფესიონალებს ბადალი არა ჰყავთ. ეს ყველაფერი ავტომატიზმამდე დაჰყავთ. ტაქტიკური თვალსაზრისით პროფესიონალთა თამაში ცოტა ერთფეროვანია: ერთი-ორი გადაცემა და სროლა.

იმ გუნდებში, რომელთაც ჩვენ შევხვდით, ბევრი ძლიერი კალათბურთელი იყო. შემდეგში ბევრი მათგანი პროფესიონალებში გადავიდა. განსაკუთრებით მომეწონა ოსკარ რობერტსონი — ძალიან კარგი მხტომელი, ტექნიკური კალათბურთელი, რომელიც საოცრად ზუსტი სროლით გამოირჩეოდა.

რა მოხდა მოულოდნელი ამერიკელებთან მატჩებში? მახსოვს პირველივე შეხვედრაში ჩვენს წინააღმდეგ მთელს მოედანზე პრესინგი გამოიყენეს. დავიბენით, არ ვიცოდით რა გვეღონა. მეტოქე სწრაფად დაწინაურდა. წუთშესვენების დროს ჩვენებს შევთავაზე პრესინგით ვუპასუხოთ-მეთქი. ასე ვსწავლობდით ამერიკელებთან პრესინგის წინააღმდეგ თამაშს.

ბევრი ძალიან საინტერესო შეხვედრა გვქონდა. ამერიკელებმა უდიდესი ინტერესი გამოიჩინეს ჩვენი თამაშისადმი და ძალიანაც მოიწონეს".

„საკდესის ცნობა. 1962 წლის 28 ივნისი. თბილისის „დინამომ" გაიმარჯვა ანგარიშით 90:83 და პირველად მოიპოვა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი კალათბურთში".

1962 წელი თბილისის დინამოელთა ტრიუმფის, მათი ზენიტის წელი იყო. გუნდი განსაკუთრებით შეთანხმებულად, ტექნიკურად თამაშობდა. ახალგაზრდობისა და გამოცდილების ურთიერთშერწყმა—ასეთი იყო იმდროინდელი „დინამო". ვეტერანების — ინწკირველისა და კილაძის გვერდით თამაშობდა ახალგაზრდა კალათბურთელთა ბრწყინვალე თაობა — უგრეხელიძე, მოსეშვილი, ალთაბაევი, ლეჟავა.

თბილისის „დინამომ" გაიმარჯვა ევროპის ყველაზე პოპულარულ ტურნირში, გაიმარჯვა „რეალ მადრიდთან" — კონტინენტის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდთან გადამწყვეტ მატჩში.

აი, რას ამბობს ვალერი ალთაბაევი, ჩვენი გუნდის ყველაზე შედეგიანი მოთამაშე, რომელმაც კოლექტივს 19 ქულა მოუტანა:

„ფინალამდე ორი დამქანცველი მატჩი გვქონდა ცსკა-სთან. ორივე შეხვედრა მოვიგეთ. გურამი ბრწყინვალედ თამაშობდა ამ მატჩებში.

მერე ჟენევაში ფინალი ტარდებოდა. ჩვენ თითქმის არაფერი ვიცოდით მეტოქეზე. მოედანზე რომ გამოვედით, მივხვდით, რომ ძალიან ძლიერი, სერიოზული მოწინააღმდეგე შეგვხვდა. მათ შორის, რასაკვირველია, გამოირჩეოდა ამერიკელი ზანგი ჰაიტაუერი, მაღალი კლასის კალათბურთელი.

ესპანელები ძირითადად ჰაიტაუერის იმედად იყვნენ და მათს შაბლონურ იერიშს შეთანხმებული, მრავალფეროვანი კომბინაციებით მდიდარი თამაში დავუპირისპირეთ. ამაში უდავოდ დიდი დამსახურება მიუძღვის გურამ მინაშვილს, რომელიც არა მარტო საუცხოოდ წარმართავდა ჩვენს თამაშს, არამედ ხშირად თავადაც წარმატებით გადადიოდა იერიშზე. ყველა ბრწყინვალედ, მონდომებით, თავდაუზოგავად თამაშობდა. ამ უმძიმეს ბრძოლაში ჩვენ გამარჯვება მოვიპოვეთ. ბევრს სიხარულის ცრემლებით ჰქონდა თვალები სავსე. არ დამავიწყდება შეხვედრა თბილისში: ყვავილები, მეგობრების ხვევნა, ახლობლების, საზოგადოების გულთბილი მილოცვები.

იმ პერიოდს რომ ვიგონებ, მინდა რამდენიმე სიტყვა მინაშვილზე ვთქვა. გურამზე ბევრი საქები სიტყვა დაწერილა, მაგრამ განა სიტყვებს ყველაფრის გადმოცემა შეუძლიათ? მე და ის თითქმის ათ წელიწადს ვთამაშობდით ერთად და დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა: ასეთი კალათბურთელი ჩემს სიცოცხლეში არ შემხვედრია. ბრწყინვალე ტექნიკოსსა და ტაქტიკოსს, მას შეეძლო მუდამ გუნდისთვის საჭირო გეგმით წარემართა თამაში. ამ უდიდესი ტემპერამენტისა და აზარტის მქონე კაცს გონება არასდროს უღალატებდა. იგი თავისი თამაშით ყველას გვაიძულებდა გვეთამაშა. მის გვერდით შეუძლებელი იყო მთელი ძალა არ დაგეხარჯა, თავი შემოგენახა. რაც უფრო საპასუხისმგებლო იყო შეხვედრა, მით უფრო ძლიერად თამაშობდა გურამი. ის იყო გამოჩენილი კალათბურთელი, რომელთანაც ყოველგვარი რანგის მატჩის თამაში შეიძლებოდა".



ს უ რ ა თ ზ ე: აი, ასე უტევდა გ. მინაშვილი.

მ. ზარგარიანის ფოტო.

გურამის მყუდრო ბინაში ვართ. საოცარი კაცია, ნზადაა საათობით ილაპარაკოს კალათბურთზე, თანაგუნდელებზე, მწვრთნელებზე, ოღონდ თავის თავზე ნურაფერს ათქმევინებ. „სხვებზე ლაპარაკი უფრო ადვილია", — დიმილით მეუბნება იგი. მერე მაინც მიამბობს თავის პირველ ნაბიჯებზე კალათბურთში, თავის იმდროინდელ თანაგუნდელებზე — თამაზ ანთაძეზე, ირაკლი აბაშიძეზე. მერე იყო თბილისის „დინამო", საბჭოთა კავშირის ნაკრები.

„ყველაზე მეტად ვის წინააღმდეგ მიჭირდა თამაში? საბჭოთა კალათბურთელთაგან პირველ ყოვლისა უნდა დავასახელო ვალდმანისი — ეშმაკი, ტექნიკური მოთამაშე, აგრეთვე, ალექსანდრე ტრავინი. როცა ჩვეულ ფორმაში იყო, მისი დაჭერა შეუძლებელი ხდებოდა. უცხოელი კალათბურთელებიდან დავასახელებ ბრაზილიელ ვოლდემარ ბლატკაუსკასს, ბულგარელ პანოვს, ემილიანო როდრიგესს „რეალიდან", ძნელი იყო თამაში თითქმის ყველა ამერიკელ მცველთან".

გურამ მინაშვილმა გრძელი გზა გაიარა სპორტში. გავიხსენოთ თუნდაც ევროპის ჩემპიონატები სოფიაში, სტამბოლში, ვროცლავში, ოლიმპიური თამაშები რომში, უამრავი საერთაშორისო ტურნირი. ეს გზა იოლი არ ყოფილა. როგორც ყველას, მინაშვილსაც განუცდია მარცხის სიმწარეც, სიხარულიც და სინანულიც. მაგრამ ერთი რამ მაინც უმთავრესია: გურამ მინაშვილი ტალანტი იყო სპორტში, ბუნებით მომადლებული ნიჭის პატრონი. კალათბურთი რომ არ აერჩია, ალბათ სპორტის რომელიმე სხვა სახეობაში გამობრწყინდებოდა.

გაგვიგრძელდა საუბარი, ვერც შევნიშნეთ, როგორ დაბინდდა. დავემშვიდობე მასპინძელს და მერე შინ, საუბრის ჩანაწერს რომ გადავხედე, გადავწყვიტე მკითხველისთვის მეამბნა მხოლოდ ეს რამდენიმე ეპიზოდი გურამ მინაშვილის სპორტული ბიოგრაფიიდან.

სპორტიდან წავიდა ჩვენი კალათბურთის ვარსკვლავი. ნუ შეგვეშინდება ამ სიტყვისა, თუმცა ბოლო ხანს იგი ზოგიერთმა ჟურნალისტმა და კომენტატორმა რატომღაც დაცინვისა და ირონიის იარაღად აქცია. საბჭოთა სპორტში მუდამ იყვნენ, არიან და იქნებიან ნამდვილი ვარსკვლავები. სიტყვა რომ ჩამოვარდეს, ყოველ ჩვენგანს თამამად შეუძლია თქვას:

„გარინჩა თქვენი ფეხბურთელი იყო? სამაგიეროდ, ჩვენ მესხი გვყავდა".

„ჰაბიბი თქვენებურია? კარტოზია ხომ ჩვენი იყო!"

„ესპოზიტო თქვენი ჰოკეისტია? საბჭოთა გუნდში ხარლამოვი თამაშობს!"

„თქვენს გუნდში რობერტსონი გამოდიოდა? სამაგიეროდ, ჩვენ გურამ მინაშვილი გვყავდა!"

როგორც ამბობენ, ქვეყნად მუდმივი არაფერია. მით უფრო, ასეა სპორტში. დადგება დრო და უნდა წახვიდე, თუნდაც ძალიან გიჭირდეს — ახალგაზრდა თაობა მოდის. მაგრამ ხანდახან ისეც ხდება, რომ ძალიან ადრე ვემშვიდობებით ჩვენს ვეტერანებს. მიხეილ მესხი 32 წლისა იყო, სარბიელი რომ დატოვა. მინაშვილი 31 წლისა წავიდა კალათბურთიდან. წავიდნენ სპორტსმენები, რომელთაც აღტაცებით შესცქეროდა მთელი მსოფლიო, რომელთაც მქუხარე ტაშით ეგებებოდნენ გაჭედილი ტრიბუნები ჩვენი პლანეტის ყველა კუთხეში. ამგვარი, ნაშრომ-ნაღვაწი ვეტერანებიდან ზოგიერთს სახელდახელოდ ვუწყობთ ხოლმე გაცილების საღამოებს, ზოგი კი სულაც მივიწყებული გვყავს. ვივიწყებთ იმ ადამიანებს, იმ სპორტსმენებს, რომელთაც ასე გაუთქვეს სახელი საბჭოთა სპორტს.

მოდით, ნუ ვიჩქარებთ ამ ვარსკვლავების გაშვებას ჩვენი სტადიონებიდან, ჩვენი სპორტული მოედნებიდან და სასახლეებიდან. ვეცადოთ დიდხანს დავტკბეთ მათი ოსტატობით, რათა სპორტმა ლაზათი და სილამაზე არ დაკარგოს. ამავე დროს, ვისწავლოთ მათგან, გავზარდოთ ახალი თაობა დიდი სპორტსმენების ცქერაში, რათა მერე, როცა დრო დადგება, ახალ-ახალი ვარსკვლავები მრავლად გამობრწყინდნენ.

თ. ჯაფარიძე.

დასასრული. იხ. „ლელო" № 228.

## „ამბავი ერთი დარბაზისა"

15 ოქტომბერს „ლელომ" ამ სათაურით გამოაქვეყნა წერილი, რომელშიც ლაპარაკი იყო ახალციხის ბავშვთა სპორტული სკოლის შენობის ავარიულ მდგომარეობაზე.

როგორც ახალციხის რაიონის სახალხო განათლების განყოფილებიდან გვატყობინებენ, წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. შენობის კედლის ჩამონგრევისთანავე განათლების განყოფილებას სპორტსკოლის სექციები სამუშაოდ ქალაქის 1-ელ და მე-2 საშუალო, № 1 საშუალო სპორტსკოლა-ინტერნატის სპორტულ დარბაზებში გაუნაწილებია.

სადღეისოდ სპორტსკოლის დარბაზის ჩამონგრეული კედელი აღუდგენიათ და სპორტული მუშაობის გაგრძელება შეიძლება, მაგრამ განათლების განყოფილება ამით არ დაკმაყოფილებულა — სპორტსკოლისთვის ახალი შენობის აგება გადაუწყვეტია. სკოლას ექნება ორი დარბაზი, საცურაო აუზი, კაბინეტები და დამხმარე სათავსოები.

შენობის დაპროექტება უკვე დაიწყო.



# საზეიმო ვითარებაში

ამას წინათ თბილისის 1 მაისის რაიონის მედიცინის მუშაკთა პროფკავშირმა „ცისარტყელის" სტადიონზე მოაწყო რაიონული პირველობა მძლეოსნობაში მშდ კომპლექსის პროგრამით. სტარტზე გამოვიდა 300-ზე მეტი სამედიცინო სასწავლებლის მოსწავლე, ჯანმრთელობის დაცვის მუშაკი.

შეჯიბრება საზეიმო ვითარებაში მოეწყო. სპორტსმენები სტადიონზე საესტრადო ორკესტრ „მთვარისსათან" ერთად მოვიდნენ, რომელმაც



პირდაპირ ფეხბურთის მინდორზე გამართა კონცერტი.

100 მეტრზე რბენაში გამოირჩეოდნენ № 3 სამედიცინო სასწავლებლის მოსწავლეები ლ. მურთაზაშვილი (13,4 წამი) და ვ. იმედაშვილი (14,1), რომელთაც შესაბამისად I და II ადგილები დაიკავეს. მათმა თანაგუნდელმა დ. ხარატიშვილმა გაიმარჯვა 400 მეტრზე — 1.12,0 (ეს დისტანცია მშდ კომპლექსში არ შედის). ბირთვის კვრაში და სიგრძეზე ხტომაში ყველას აჯობეს №1 სამედიცინო სასწავლებლის მოსწავლეებმა რ. ჩიტიძემ (8,63 მ) და ნ. ბაბაიანმა (470 სმ).

ბევრმა მონაწილემ ნორმატივები ოქროსა და ვერცხლის სამკერდე ნიშნებზე ჩააბარა.

**ზ. ქვათაძე.**

• • •

**სურათებზე:** 100 მეტრზე რბენა; 400 მეტრზე გარბენის სტარტი; გამარჯვებულებს აჯილდოებს № 8 სამედიცინო სასწავლებლის დირექტორის მოადგილე დ. ჩიქოვანი.

ავტორის ფოტოები.





# უახლოესი და შორეული პერსპექტივები

რესპუბლიკის სპორტული საზოგადოებრიობა კარგად იცნობს საბჭოთა კავშირის დამსახურებულ მწვრთნელს ტრიფონ მეხს. იგი უკვე ორ ათეულ წელზე მეტია ემსახურება ქართული ფარიკაობის ახალი ოსტატების სრულყოფა-დაწინაურების საქმეს. ამ ნიჭიერი მწვრთნელის „ქურაში" დღემდე რამდენიმე თაობა გამოიწრთო. ბევრმა მათგანმა უკვე დატოვა საფარიკაო სარბიელი, მწვრთნელი კი კვლავ დაუზარებლად ეძებს და პოულობს მათს სანაცვლოდ ნიჭიერ მოფარიკავეებს. გთავაზობთ საქართველოს მოფარიკავეთა ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელისა და ერთ-ერთი საუკეთესო სელექციონერის საუბარს ჩვენს კორესპონდენტთან.

● **ამბობენ, წიწილებს შემოდგომაზე ითვლიანო. გამონაკლისს ალბათ არც რესპუბლიკის მოსწავლეთა საშემოდგომო შესარჩევი ტურნირი წარმოადგენდა.**

— თავიდანვე უნდა მოგახსენოთ, რომ ეს პირველობა საკმაოდ ბარაქიანი გამოდგა. წლევანდელი სეზონი მთავრდება, მწვრთნელები ვალდებული ვართ ანგარიში ჩავაბაროთ სპორტულ საზოგადოებრიობას: ვინ შეძლო ნიჭიერი მოფარიკავეების აღზრდა, ვისზე შევაჩეროთ არჩევანი მომავალში, ერთი სიტყვით, რისი იმედი უნდა გვქონდეს 1974 წლის მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაში და შემდეგაც. სწორედ ამ მიზნით, წლევანდელი შესარჩევი შეჯიბრების მონაწილენი ორ ასაკობრივ ჯგუფად (1956-58 და 1959-60 წლებში დაბადებულნი) დავყავით. სასიამოვნოა, რომ ნორჩ მოფარიკავეთა შორის არიან ნიჭიერი, იმედის მომცემი სპორტსმენები. ვფიქრობ, კარგი რეზერვი უნდა მივიღოთ, თუ, რა თქმა უნდა, მათი შემდგომი მზადება ფარიკაობის თანამედროვე მოთხოვნებს გაუტოლდება.

● **მაინც, რომელმა ნორჩმა მოფარიკავემ მიიქცია თქვენი ყურადღება?**

— უკვე მოგახსენეთ, რომ დღეს საუბარი გვაქვს ქართული ფარიკაობის როგორც უახლოეს, ისე შორეულ პერსპექტივებზე. უახლოესზე იმიტომ, რომ ამ პირველობის მონაწილე ბავშვებს უკვე 1974 წელს მოუხდებათ რესპუბლიკის ღირსების დაცვა საკავშირო სარბიელზე. შორეული პერსპექტივა კი გახლავთ უფროსების შეჯიბრებები სხვადასხვა დონეზე. ახლა კი გაგაცნობთ პირველობის რამდენიმე „აღმოჩენას". პირველ ყოვლისა მინდა დავასახელო სოხუმელი ვახტანგ უგულავა. ნორჩმა რაპირისტმა უმცროსი ასაკის სპორტსმენთა შეჯიბრებაში საკმაოდ დამაჯერებლად გაიმარჯვა. მთავარი კი ის არის, რომ ვახტანგმა გამოავლინა დიდი მიზანსწრაფვა, მოხერხებულობა და სისწრაფე. ასევე სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა გოგონებში გამარჯვებულმა მანანა ხიდაშელმა. ნორჩი ქუთაისელი მოფარიკავე საუცხოო სპორტული მონაცემებით გამოირჩევა, უყვარს და ეხერხება კიდეც იერიში.

თბილისელი ლეილა ბერაძე ყურადღებას იქცევს, თუ შეიძლება ითქვას, ორიგინალური საფარიკაო ხელწერით და შეჯიბრებებისადმი შემოქმედებითი დამოკიდებულებით.

თითქოს ქების მეტი არაფერი გვეთქმის თბილისელ რაპირისტ მალხაზ გუგუშვილზე. ოქტომბერში მალხაზმა „ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭოს ჭაბუკთა პირველობაში გაიმარჯვა და ახლაც წარმატება ხვდა. უდავოა, რომ იგი ნიჭიერი მოფარიკავეა და ტექნიკასაც საკმაოდ კარგად ფლობს, მაგრამ, თუ ტაქტიკურად უკეთ მოემზადება, ეს მომავალში უფრო თვალსაჩინო წარმატებებს მოუტანს.

მალხაზს არც თავისი მეგობარი გია აბაშიძე ჩამოუვარდება — ზემოდასახელებული შეჯიბრებების მეორე პრიზიორი. გია ცაციაა, რაც ერთგვარ უპირატესობას ანიჭებს სხვა მოფარიკავეებთან შედარებით. თან სწრაფია, პლასტიკური. რაც მთავარია, მრავალფეროვანი არსენალი აქვს.

გამოცდილება მარწმუნებს, რომ ნორჩების სპორტული ძალა და უნარი მოპოვებული ადგილების მიხედვით არ უნდა გაიზომოს. ამის ნიმუში გახლავთ თბილისელი გოგონა მანანა გეჯაძე. ამას წინათ იგი შესანიშნავად გამოვიდა „სპარტაკის" ცენტრალური საბჭოს პირველობაში და გაიმარჯვა კიდეც, ჩვენს ტურნირში კი მოკრძალებულ ადგილს დასჯერდა. მიუხედავად ამისა, მანანა ნიჭიერი მოფარიკავეა და უდავოდ ჩვენი რაპირისტი გოგონების ლიდერად ითვლება.

ზემოჩამოთვლილი ნორჩი მოფარიკავეები რაპირისტები არიან. მათგან მომავალში კარგ შედეგს უნდა ველოდეთ. სამწუხაროდ, იგივე არ ითქმის დაშნით და ხმლით მოფარიკავეებზე.

● **ტრადიციულად, ჩვენები ხმლითა და დაშნით ფარიკაობაში იყვნენ ძლიერნი. ახლა რა მოხდა?**

— ფარიკაობის სახეობები ძალიან განსხვავდება სპეციფიკით. ხმლით ფარიკაობა ბავშვებს უფრო იზიდავს, რადგან ერთობ ემოციური და დინამიკურია. მაგრამ ამ ლტოლვას აბრკოლებს ერთი ტენდენცია, რომელიც გაუმართლებლად მიმაჩნია: აღსაზრდელებს ჯერ რაპირით ფარიკაობას ვასწავლით, ხოლო მერე ხმლითა და დაშნით. კარგი რაპირისტი შეიძლება კარგი დაშნით მოფარიკავეც იყოს, მაგრამ ხმლითა და რაპირით ფარიკაობა ძნელად, ან სულ ვერ ეგუება ერთმანეთს. ამიტომ ვფიქრობ, აუცილებელი არ არის ხმლით მოფარიკავე ჯერ რაპირას შევაჩვიოთ. ეს ძალიან ართულებს საქმეს.

ჩემი აზრით, მწვრთნელთა პროფესია უფრო გამოკვეთილი და, თუ შეიძლება ასე ითქვას, სპეციალიზებული უნდა იყოს. უდიდესი მონდომების მიუხედავადაც კი, თუ თვით არ ყოფილა დახელოვნებული ხმლით ფარიკაობაში, მწვრთნელს ძალიან გაუჭირდება გადასცეს აღსაზრდელებს ამ სპეციფიკური სახეობის ხელოვნება. მაგრამ თანდათან ალბათ ეს საკითხიც მოგვარდება, ვინაიდან ამ ბოლო ხანს მუშაობაში ჩაებნენ წარსულში ცნობილი ესპადრონისტები ნუგზარ ასათიანი, მორის სახვაძე, გურამ ლორთქიფანიძე...

რაც შეეხება დაშნით ფარიკაობას, მის განვითარებას სხვა პრობლემა აფერხებს. ამ სახეობისთვის აუცილებელ პირობად იქცა, რომ სპორტსმენი ტანად მაღალი იყოს, ჩვენ კი, სიმართლე უნდა ითქვას, კარგად ვერ ვარჩევთ მოზარდებს.

● **როგორც თქვენ აღნიშნეთ, სასიამოვნოა, რომ ქართული ფარიკაობის ჭეჭილს წარსულში გამოჩენილი სპორტსმენები ზრდიან. კიდევ ვის დაასახელებდით ახალმოსულ მწვრთნელთა შორის?**

— ვიდრე მათ დავასახელებდე, უნდა ვთქვა, რომ ახალგაზრდა მწვრთნელებმა რთულ, მაგრამ კეთილშობილურ საქმეს მოჰკიდეს ხელი: ააღორძინონ ეროვნული ფარიკაობა და კვლავ დაუბრუნონ მას ძველებური სიძლიერე. ვფიქრობ, ამ საქმეში თავს გამოიჩენენ თბილისელები თამაზ ძაგანეიშვილი, მალხაზ მჭედლიძე, ბათუმელი გურამ ალაფიშვილი, ქუთაისელი თამაზ ოყროშიძე... მათ არც მონდომება აკლიათ, არც საქმის ცოდნა და სიყვარული.

საუბარი ჩაიწერა სპორტის ოსტატმა ა. გოგელიამ.

• • •

## ტექნიკური შედეგები

**1959-60 წლებში დაბადებულნი. რაპირა. ბიჭები.** 1. ვ. უგულავა (სოხუმი), 2. მ. გურგენიძე, 3. ვ. შატაკიშვილი (ორივე — თბილისი); **გოგონები.** 1. ო. ზადოროჟნაია (სოხუმი), 2. ზ. ოზმანოვა, 3. ნ. ფირანიშვილი (ორივე — თბილისი). **ხმალი.** 1. გ. პაიჭაძე, 2. გ. ქარელიძე, 3. თ. ბოჭორიშვილი (სამივე — თბილისი).

**1956-58 წლებში დაბადებულნი. რაპირა. ბიჭები.** 1. მ. გუგუშვილი, 2. გ. აბაშიძე (ორივე — თბილისი), 3. ი. გაგულაშვილი (ქუთაისი); **გოგონები.** 1. მ. ხიდაშელი (ქუთაისი), 2. ლ. ბერაძე (თბილისი), 3. რ. ცხადაძე (ზესტაფონი); **დაშნა.** 1. გ. ნადირაშვილი, 2. ა. კატანჯიანი, 3. ზ. ბოკუჩავა (სამივე — თბილისი). **ხმალი.** 1. ი. სიფრაშვილი (თბილისი), 2. ბ. ფაჩულია (რუსთავი), 3. ვ. ჩილინგარაშვილი (ქუთაისი).

# ვეურცლავთ სპორტულ გაზეთებს

## ისფერი კოსტიუმი

ისლანდიის გაზეთები ბევრს წერდნენ, სპასკი ჩინებულად იცვამსო. ეს თავიდანვე ძალიან აღელვებდა ფიშერს, რომელსაც არაერთხელ განუცხადებია, რომ აპირებს მოხვდეს მსოფლიოში ყველაზე ელეგანტურად ჩაცმული კაცების ათეულში. იგი ტელეფონით დაუკავშირდა თავის „კარის მკერავს", რომელიც იუგოსლავიის ქალაქ ზაგრებში ცხოვრობს, და სთხოვა შეეკერა რაიმე „საგანგებო". ეს „საგანგებოც" მალე გამოჩნდა მართლაც მეტად ელეგანტური ისფერი კოსტიუმის სახით. ფიშერმაც უფრო ხშირად დაიწყო ხალხში გამოსვლა. მაგალითად, დაესწრო ელვისებური თამაშის საერთაშორისო ტურნირს, რომელიც რეიკიავიკში გაიმართა. როცა ისლანდიის საჭადრაკო ფედერაციის პრეზიდენტის მეუღლემ გუდრუნ ტარარინსონმა კოსტიუმი მოიწონა, ფიშერი ესაუბრა მას.

„მე ვკითხე, როგორ მოიქცევით, როცა მსოფლიო ჩემპიონი გახდებით-მეთქი. ბობიმ მითხრა: ჩემპიონი რომ გავხდები, მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქში რამდენიმე სახლს ვიყიდი, როგორც ის ტიპი... რა ჰქვია? დამავიწყდა... ჰო, ონასისი, და ამ სახლებში მორიგეობით ვიცხოვრებო. დიახ, მაგრამ გეყოლებათ თუ არა საკუთარი ჟაკლინი? — ვკითხე მე. არ მინდა დრო და ენერგია საცოლის ძებნას მოვანდომო. როდესაც ღმერთი მიიჩნევს, რომ დროა ცოლი შევირთო, თვითონ გადმომიგდებს ვინმეს, — მიპასუხა ფიშერმა".

გაგრძელება. იხ. „ლელო" №№ 224, 226.

## ბუმი სულ უფრო შორს წავიდა

საჭადრაკო ბუმმა ამერიკის შეერთებულ შტატებში საოცარ მასშტაბს მიაღწია. ფრანგულ გაზეთ „კომბას" ვაშინგტონელი კორესპონდენტი იუწყებოდა: „ნიუ იორკის, ვაშინგტონის, ფილადელფიის პარკებსა და ხეივნებში ხალხი საათობით უზის ჭადრაკს, მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში გეგონება თავი. საინტერესოა, რომ ბანდიტები, რომლებითაც სავსეა ეს ქალაქები, ჯერჯერობით ხელს არ ახლებენ მოჭადრაკეებს".

„ბალადა ფიშერზე", რომელსაც ასრულებს ანსამბლი „ფიანკეტირებული კუ", უკვე რამდენიმეჯერ გამოიცა. ამასთან, ბალადის ტექსტი მატჩის სიტუაციების შესაბამისად იცვლება.

„ნიუ იორკ დეილი ნიუსის" მოწმობით, ფიშერი დღეში სამჯერ უკრავს ამ ფირფიტას. ძილის წინ იგი ბიბლიას კითხულობს და რელიგიური შინაარსის ფირფიტებს ისმენს.

„ბობი ყოველდღე იღებს ამერიკის შეერთებული შტატების სხვადასხვა სარეკლამო ფირმიდან უამრავ მაცდუნებელ წინადადებას, რომელთაც მყისვე უარყოფს ხოლმე. მან უარი განაცხადა როიალთან დამდგარიყო და ისე გადაეღო სურათი, თუმცა ჩიკაგოს მუსიკალური საკრავების ფირმა ამაში 100 ათას დოლარს ჰპირდებოდა. ფიშერი გაცეცხლდა, როცა ერთმა ჟურნალმა შესთავაზა ხელი მოეწერა სხვისი დაწერილი წერილისთვის, რისთვისაც 85 ათასი დოლარი შესთავაზეს. „რა არის ამაში განსაკუთრებული, ბობი? — გაუკვირდა ჟურნალ „ლაიფის" კორესპონდენტს ბ. დარაკს, — კონგრესმენები და მინისტრებიც აწერენ ხელს სხვის დაწერილ წერილებს, თან ნამდვილ ავტორებს თვითონ უხდიან ფულს. თქვენ კი თავად გთავაზობენ დიდ თანხას". „თუ კიდევ ერთხელ გაბედავთ და ამ შარლატანებს შემადარებთ, თქვენთან ურთიერთობას საერთოდ გავწყვეტ!" — უპასუხა ფიშერმა.

## მატჩის რეზონანსი

22 აგვისტოს დილით ნიუ იორკის ტელევიზიის დიქტორმა გამოაცხადა, რომ რეიკიავიკიდან მატჩის მე-17 პარტიის ნაცვლად მაიამი-ბიჩიდან რესპუბლიკური პარტიის წინასაარჩევნო კონვენციას გადასცემდნენ. მაგრამ უკვე ორი საათის შემდეგ ეს გადაწყვეტილება შეიცვალა. ტელევიზიის ხელმძღვანელებმა ამ დროის განმავლობაში იმდენი მუქარა და ლანძღვა მოისმინეს, რომ იძულებული გახდნენ ისევ ჭადრაკის პარტია გადაეცათ.

## კონფლიქტი პატარა ასტრიდთან

ფიშერს ერთი კონფლიქტი მოუვიდა... 7 წლის გოგონასთან. ეს გოგონა, რომელსაც ასტრიდი ჰქვია, ისლანდიელი მოჭადრაკეების საყვარელი პიროვნებაა. მას „პატარა ფიშერს" ეძახიან არა მარტო დიდი საჭადრაკო ნიჭის, არამედ ტემპერამენტის გამოც.

მაგრამ პატარა ასტრიდს ერთი სისუსტეც აქვს... „ეს გოგო განუწყვეტლივ შაქარყინულს წუწნის, ქაღალდს აშრიალებს და ამით ფიქრის დროს ხელს მიშლის", — მიმართა ფიშერმა მსაჯს. „განუწყვეტლივ კი არ ვწუწნი, სულ ოთხი ცალი შევჭამე!" — მიუგო ნაწყენმა გოგონამ, რომელმაც არა მარტო ჩინებულად იცის ინგლისური, არამედ მახვილი სმენაც აქვს და ფიშერის საყვედური გაიგონა. „სტყუი! ოთხი კი არა, ექვსი შეჭამე. შენს გამო ცუდი სვლა გავაკეთე", — შეაწყვეტინა მას ფიშერმა და მსაჯებს მოსთხოვა ბავშვი დარბაზიდან გაეყვანათ. მაგრამ ასტრიდი გაჯიუტდა: „მე ბილეთი ვიყიდე და აქ დავრჩები, სანამ თქვენი თამაშის ყურება არ მომწყინდება, თუმცა, ვგრძნობ უკვე მწყინდება. ჩემი აზრით, თქვენ ფანტაზია გაკლიათ. დარწმუნებული ვარ, რომ რამდენიმე წლის შემდეგ მოგიგებთ კიდეც", — თქვა ასტრიდმა და დარბაზი დატოვა.

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# როგორ შეიძლება გახდე ცნობილი



**ამ ქალაქში** ტურისტები ბუზებივით ირეოდნენ, განსაკუთრებით — ამერიკელები. მე ტურისტი არ გახლდით. წინ შორი გზა მედო და ქალაქი ჩემი მოგზაურობის ერთ-ერთი სატრანზიტო პუნქტი იყო. ვისადილე რესტორანში, მერე ახლომდებარე ფოსტაში იქაური მარკების ყიდვა განვიზრახე. რესტორნიდან რომ გამოვდიოდი, რომელიღაც ამერიკელმა ტურისტმა თავისი ფოტოკამერა ჩემსკენ მოიშვირა, ალბათ, რესტორნის კართან მოთამაშე კნუტების გადაღება სურდა. ორი სხვა ტურისტი, რომლებიც იქვე იდგნენ და თვალებს უმიზნოდ აცეცებდნენ, ეტყობა, ჩემსკენ მომართულმა კამერამ შეაცდინა. როგორც კი შენიშნეს, ვიღაც ფულბენს სურათს

## იუმორესკა

ულებენო, მათაც სასწრაფოდ აახჩაკუნეს აპარატები. ამას ტურისტების საკმაოდ მოზრდილმა ჯგუფმა მოჰკრა თვალი, რომელიც ქუჩის მეორე მხრიდან ის-ის იყო რესტორანს მიუახლოვდა. არც მათ ისურვეს ხელსაყრელი მომენტის ხელიდან გაშვება და აპარატებით დამედევნენ. ეს ქუჩა ქალაქის ცენტრალური მაგისტრალია, რომელზეც მდიდრულ სასტუმროთა მთელი წყებაა განლაგებული. ტურისტებიც ბუზებივით ირევიან. „ბრაზილიური ფეხბურთის ახალი, ამომავალი ვარსკვლავი ყოფილა!" — მოვკარი ყური საერთო ღრიანცელში. „ამბობენ, პელეს ერთ-ორ წელიწადში დაჩრდილავსო!" — თქვა ვიღაცამ.

„ნეტავ რა მიგავს სპორტსმენს", — ვფიქრობდი ჩემთვის. — ნუთუ ვერ ამჩნევენ შვილივით მოსწრებულ ღიპს, ჩავარდნილ მკერდს, ჩემს ნატკენ ფეხს?!".

„შეხედე, როგორ გარინჩასავით კოჰლობს!" — შენიშნა ვიღაცამ ჩემი ფეხიც.

მთქნარებასავით გადამდები აღმოჩნდა სენსაცია. მთელი ბრბო მომდევდა უკან, უამრავი ფოტოაპარატი მოეშვირათ ჩემსკენ, ზოგი ბლოკნოტსაც მაწვდიდა ავტოგრაფისთვის. როგორც იქნა, შევვარდი ფოსტაში, მაგრამ ბრბოც შემომყვა და ვეება საფოსტო განყოფილება ტურისტებითა და ადგილობრივი მცხოვრებლებით აივსო. გამოჩენილი ფეხბურთელისადმი ინტერესი ფოსტის თანამშრომლებსაც გადაედოთ, მუშაობაც შეწყდა. ძლივს გავარღვიე ბრბო და ქუჩას დავუბრუნდი. აქ ხელში მჩრიდნენ კალმისტრებს, ფანქრებს, იძულებული ვიყავი გაურკვევლად მომეწერა ხელი. ავტოგრაფის სახეგაბრწყინებული, ბედნიერი მფლობელები ერთმანეთს უჩვენებდნენ ჩემს ნაჯღაბნ ასოებს და ცდილობდნენ როგორმე ამოეკითხათ გვარი.

„როგორც ჩანს, ინკოგნიტოდაა ჩამოსული ამ ქალაქში", —-მიხვდა ერთი ტურისტი.

ახლა კინოაპარატებსაც მოვკარი თვალი, — კინოფირზეც უნდოდათ აღებეჭდათ ბრაზილიური ფეხბურთის ამომავალი ვარსკვლავი. უკვე პოლიციელები იცავდნენ წესრიგს და თავს იკლავდნენ, რომ ბრაზილიელი ფეხბურთელი ზედმეტად არ შეეწუხებინათ, თუმცა ჩემი ვინაობის თაობაზე თანხმობა არ იყო მიღწეული, ვინაიდან ამასაც მოვკარი ყური: „სპარსეთის შაჰი უნდა იყოს".

ძლივს მივაღწიე სასტუმროს. პოლიციელების დახმარებით, რომლებიც მჭიდრო რკალად შემომრტყმოდნენ, შევვარდი შენობაში, ჩემს ზურგს უკან კარი სასწრაფოდ ჩაკეტეს და თავიც სამშვიდობოს დავიგულე. შემდეგ სასტუმროს უკანა გასასვლელიდან ეზოში გავედი, იქიდან ქუჩაში ამოვყავი თავი და მალე იმ ბრბოს შევერიე, რომელიც არაფრით არ იშლებოდა, ბორგავდა, სასტუმროს კარსა და ფანჯრებს თვალს არ აშორებდა, იქნებ ბრაზილიელი ფეხბურთელი ისევ გამოჩნდესო. საშინელი ზედახორა იყო. წინ გასვლა მოვინდომე, მაგრამ უკან გამომაგდეს და მუჯლუგუნებიც მითავაზეს. ხალხი, რომელიც ცოტა ხნის წინ ასე მაღმერთებდა, ახლა დოყლაპიას და ბოთეს მეძახდა.

მალე მატარებელში ვიჯექი, სასტუმროს წინ კი შფოთავდა, გნიასებდა ბრბო, რომელიც მე მელოდა...

ა. ბ.

(თარგმანი გერმანულიდან).





**საქვეყნოდ** ცნობილი მოციგურავე, მსოფლიო ჩემპიონატის დიდი ოქროს მედლის მფლობელი, ჰოლანდიელი ატიე კეილენ-დეელსტრა სამი შვილის დედაა. იგი ძალიან უყვართ თანამემამულეებს და დიდ პატივსაც სცემენ. ყოველი თვალსაჩინო შეჯიბრების შემდეგ ატიეს ზარ-ზეიმით ხვდებიან აღფრთოვანებული თანამემამულეები — მშობლიური დაბა ირნსუმის მცხოვრებლები. ამ სურათზე სწორედ ერთი ასეთი შეხვედრის მომენტია აღბეჭდილი, როცა ამა წლის მარტში კეილენ-დეელსტრამ ბრწყინვალე წარმატებით იასპარეზა მსოფლიო ჩემპიონატში და შინ გამარჯვებული დაბრუნდა. იგი თავის ქმართან იელესთან და სამ შვილთან ერთადაა გადაღებული. ირნსუმელებმა ატიეს ტახტრევანი აუგეს და ჩემპიონის მთელს ოჯახს დაბის ქუჩებში დაატარებენ.

ანპ-ს (ამსტერდამი) ფოტო.

## ობიექტივში მსოფლიო

**სამხრეთ ამერიკის** ზოგიერთ ქვეყანაში გავრცელებულია „მასობრივი" კორიდა — ხარს ქუჩაში უშვებენ და მაყურებლები თავად გამოდიან კორიდის მონაწილეთა როლში.

ერთ-ერთი ასეთი კორიდა გაიმართა სამხრეთ-დასავლეთ საფრანგეთის პატარა ქალაქ მასპარენში, ოღონდ ხარის მაგივრად ქუჩაში ძროხა გამოუშვეს. ეს ძროხა არაფრით ჩამოუვარდებოდა ხარს და გამოენთო მხიარულ მაყურებლებს, რომელთაგან უმეტესობამ გაქცევით უშველა თავს.

სურათზე: ახალგაზრდა ქალი, რომელიც ძროხამ თავის „მსხვერპლად" ამოირჩია, თოკზე ჩამოეკიდა და ასე ცდილობს ძროხის რქებს დააღწიოს თავი.

ასოშიეიტედ პრესის ფოტო.



## ცნობები უცხოეთიდან

# ქალთა ფეხბურთის „ეპიდემია"

**ქალთა გუნდების** მატჩები მეტისმეტად „ცეცხლოვანია" საიმისოდ, რომ მსაჯებად კაცები იყვნენ მიწვეული, — დაასკვნა დერბიშირის საგრაფოს ფეხბურთის ასოციაციამ. ამ საგრაფოს ფეხბურთის მსაჯთა საზოგადოების წევრებმა კატეგორიული უარი თქვეს ქალთა მატჩებში მონაწილეობაზე, იმ საბუთით, რომ მოთამაშეთა რაიმეში დარწმუნება შეუძლებელიაო. ამას გარდა, ფეხბურთელი ქალები ხაოცრად იპრანჭებიან საჯარიმო დარტყმის დროს და ზოგჯერ... არბიტრის გადაკოცნასაც აპირებენ. მაგრამ ყველაზე მძიმე მდგომარეობა პენალტის დროს იქმნება: „დაზარალებულნი" მოთქვამენ. არ გინდა ქალის ცრემლებს გაუძლო?

მსაჯთა საზოგადოების მდივანმა ფრენკ ჰარვუდმა დასძინა, რომ ფეხბურთელ ქალთა ლექსიკონი თამაშის დროს მეშახტეთა გუნდების „მარილიან" სიტყვა-პასუხს არ ჩამოუვარდება.

მიუხედავად ამისა, დერბიშირის ფეხბურთელ ქალთა ლიგის მდივანმა ანიტა მოზლიმ ყველა თავდასხმა მოიგერია. მისი აზრით, მსაჯებს სიმტკიცე აკლიათ. ყოველ შემთხვევაში, დღემდე მინდვრიდან მხოლოდ ერთი ფეხბურთელი ქალია გაძევებული...

ლონდონი.

# ცარიელი ტრიბუნები

**ბრაზილიის** კალათბურთის ფედერაციამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ქვეყნის ჩემპიონატის მატჩები დროებით უმაყურებლოდ ჩატარდეს. ამის მიზეზია ტემპერამენტიანი გულშემატკივრების ყოვლად უმსგავსო საქციელი. მაგალითად, ჩემპიონატის კალენდარული მატჩი „ვალხეიროსა" და „პალმასს" შორის, რომელიც ამ ერთი თვის წინ სან-პაულუში მოეწყო, სამ საათს გაგრძელდა — ამ ხნის მანძილზე შეხვედრა 22-ჯერ შეწყდა მაყურებლების აღვირახსნილი ქცევის გამო. მატჩის შემდეგ პოლიციამ დააკავა 40 გულშემატკივარი, ხუთმა კაცმა კი საავადმყოფოში ამოყო თავი.

# მაიმუნები პროტესტს აცხადებენ

**ამერიკის** შეერთებული შტატების სტადიონების უმრავლესობა დიდი შეჯიბრებების დღეებშიც კი უკაცრიელია. ცარიელი ტრიბუნები მძიმე ტვირთად აწვება სპორტულ საზოგადოებათა მომწყობებს, რომლებიც ათასგვარ ხრიკებს მიმართავენ მაყურებლების მისაზიდად.

მაგრამ ყველას ისეთი ფანტაზია როდი აქვს, როგორიც ჩოგბურთის ცნობილ იმპრესარიოებს აღმოაჩნდათ. ერთ დღეს ხმა გავარდა, ადმინისტრაციამ ბურთების მიმწოდებელი პატარა ბიჭები მაიმუნებით შეცვალაო. კორტებს ცნობისმოყვარეთა ბრბო მიაწყდა და... ბიზნესიც გაჩაღდა.

როგორც მერე გამოირკვა, ამ სიახლეს დიდი ხნის მანძილზე ამზადებდნენ ტურნირის ორგანიზატორები. მათ მაიმუნების მომთვინიერებელიც კი დაიქირავეს, რომელმაც თავის აღსაზრდელებს წვრთნის ერთთვიანი კურსი ჩაუტარა. მაიმუნები ხალისით ასრულებდნენ დაკისრებულ საქმეს და მაყურებლიც, ტურნირის ადმინისტრაციაზე რომ არაფერი ვთქვათ, კმაყოფილი იყო.

ჩოგბურთის მეცენატების მაგალითმა ფეხბურთელებიც დააინტერესა, მაგრამ... ამაოდ. ფეხბურთს უფრო თავშეუკავებელი მაყურებელი ჰყოლია — ხალხი აღიზიანებდა სამუშაოდ მოსულ მაიმუნებს. ბოლოს პირუტყვებმა პირი შეკრეს და პროტესტის ნიშნად სტადიონი დატოვეს.

საჭდესი მოგვითხროვს

# პრეზიდენტი ნაკრებს ადგენს

**კამერუნის** ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდს ამიერიდან „დაუმორჩილებელი ლომები" ჰქვია. ეს გუნდი ქვეყნის პრეზიდენტის დეკრეტის თანახმად შეიქმნა. დეკრეტში განსაზღვრულია გუნდის ამოცანები, მოთამაშეთა შერჩევისა და მზადების წესები, აგრეთვე, ადმინისტრაციული და ფინანსური საკითხები. გუნდის მთავარი ამოცანაა კამერუნის ღირსების დაცვა საერთაშორისო შეხვედრებში.

იქმნება, აგრეთვე, იუნიორთა ეროვნული ნაკრები. დეკრეტი ითვალისწინებს ვაჟთა და ჭაბუკთა ნაკრები გუნდების შექმნასაც კამერუნის შვიდივე პროვინციაში.

იაუნდე.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66448 ! საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. უფ 10292